საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

2023 წელი

30.05.2024
www.geostat.ge

30.05.2024

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში
გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2023 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოთა 94.4 პროცენტს ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. ამასთან, საწარმოთა 72.6 პროცენტი ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH), საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და ა.შ.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს იმ საწარმოთა პროცენტულ განაწილებას ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით, რომელთაც ინტერნეტზე ჰქონდათ წვდომა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარე საწარმოებში, 2023



2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოებში დასაქმებულთა 21.4 პროცენტი იყენებდა საწარმოს კუთვნილ პორტატულ კომპიუტერს ან სმარტფონს, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან კავშირს (მხოლოდ საწარმოს მიზნებისთვის), ხოლო იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებ-გვერდს ან ვებ-საიტს, განისაზღვრა 13.2 პროცენტით.

სამიზნე საწარმოთა ვებ-გვერდებს ან ვებ-საიტებს გააჩნდათ შემდეგი ტიპის შესაძლებლობები/საშუალებები:

საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები/საშუალებები, 2023



საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოციალური ქსელი (Facebook, Linkedin და ა.შ.) – 29.6 პროცენტი, ხოლო საწარმოთა 70.0 პროცენტი საერთოდ არ იყენებდა სოციალური მედიის საშუალებებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge